საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№219/1

2018 წელი, 10 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 163-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. საქართველოს პარლამენტის წევრის მარიამ ჯაშის წინადადების საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის წევრების მარიამ ჯაშის, სიმონ ნოზაძის, რევაზ არველაძის, გურამ მაჭარაშვილის, დიმიტრი ხუნდაძის, ენძელა მაჭავარიანის, სვეტლანა კუდბას, რატი იონათამიშვილის და ზაზა გაბუნიას მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (07-3/252; 04.12.2018) საქართველოს კანონის პროექტი განხილულ იქნეს დაჩქარებული წესით.

2. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი პარლამენტის სხდომის ერთ დღეს განხილულ იქნეს ორი მოსმენით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — ირაკლი კობახიძე